<u>დამტკიცებულია</u>

<u>თსას-ის რექტორის</u>

<u>2021 წლის 26 მარტის №19 ბრძანებით</u>

ა(ა)იპ - საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემია და სემინარია

სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულება

წინამდებარე წესი არეგულირებს ა(ა)იპ – საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლმადიდებელი ეკლესიის თბილისის სასულიერო აკადემიისა და სემინარიის (შემდგომში - „თსას“) უმაღლეს აკადემიურ საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტების ჩარიცხვისა და სტუდენტის სტატუსის მინიჭების საკითხებს.

მუხლი 2. საბაკალავრო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა და რეგისტრაცია

1. საბაკალავრო პროგრამაზე აბიტურიენტის ჩარიცხვა ხორციელდება „ბაკალავრიატის საღვთისმეტყველო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის წესის“ საფუძველზე, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვისა და რექტორის ბრძანებით დამტკიცებული საგამოცდო პროგრამების შედეგების მიხედვით.

2. საბაკალავრო პროგრამაზე სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად, აბიტურიენტი ვალდებულია, რექტორის მიერ გამოცემული აქტით დადგენილ ვადებში გაიაროს პირველადი რეგისტრაცია. აბიტურიენტთა რეგისტრაციის ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს თსას-ის ოფიციალურ ვებ გვერდზე აბიტურიენტთა რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

3. პირველადი რეგისტრაცია მოიცავს ადმინისტრაციულ (შემდეგში- „ადმინისტრაციული რეგისტრაცია“) ნაწილს;

4. **ადმინისტრაციული რეგისტრაცია** გულისხმობს თსას-ის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენასა და ხელშეკრულების გაფორმებას. ადმინისტრაციული რეგისტრაციისას წარმოსადგენია შემდეგი დოკუმენტები:

- განცხადება რექტორის სახელზე, რომლის ფორმას სტუდენტი მიიღებს თსას-ში;
- კანონმდებლობით დადგენილი წესით აღიარებული სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დედანი და ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის ასლი, დედნის წარმოდგენით;
- 2 ნაბეჭდი ფოტოსურათი, ზომით 3X4, და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია CD-ზე;
- სამხედრო აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);
- შევსებული სპეციალური განაცხადი-აპლიკაცია, რომელიც აბიტურიენტს შეუძლია მიიღოს თსას-ში, ან/და ჩამოტვირთოს სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდიდან;
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალური ვებგვერდიდან წარმოდგენილი ამონაბეჭდი, რომელშიც მოცემულია ქართული ენისა და ლიტერატურის ქულა;
- თბილისში მცხოვრები აბიტურიენტი წარადგენს მოძღვრის რეკომენდაციას, სხვა შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი ეპარქიის მღვდელმთავრის რეკომენდაცია.

5. ამ მუხლის 1-ლი პუნქტით დადგენილი საგამოცდო პროგრამის დაძლევისა და მე-4 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, აბიტურიენტი აფორმებს ხელშეკრულებას თსას-თან (შესაბამის ფაკულტეტზე). თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია, მასთან ერთად, ხელშეკრულებას ხელს აწერს მისი კანონიერი წარმომადგენელი;

6. ადმინისტრაციული რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე, აბიტურიენტის ჩარიცხვა ფორმდება რექტორის მიერ გამოცემული ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა მოქმედი რეგულაციებით დადგენილ ვადებში;

7. რექტორის ბრძანების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სტუდენტთა მონაცემებს კანონით დადგენილ ვადებში ასახავს რეესტრის ერთიან ბაზაში.

მუხლი 3. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვა და რეგისტრაცია

1. მაგისტრატურაში ჩარიცხვა ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიაქრის მიერ დადგენილი საღვთისმეტყველო სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტების ჩარიცხვის წესის საფუძველზე, თსასის რექტორის ბრძანებით განსაზღვრული შიდა გამოცდის/გამოცდების შედეგების მიხედვით.

2. მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს მაგისტრანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის შესახებ რექტორის აქტის სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

3. მაგისტრანტობის კანდიდატის პირველადი მიღება-რეგისტრაცია მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ადმინისტრაციული რეგისტრაცია, რა დროსაც მაგისტრანტობის კანდიდატებმა უნდა წარმოადგინონ:

- ბაკალავრის დიპლომი, ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით შევსებული დიპლომის დანართის დედანი და ასლი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან პასპორტის დედანი და ასლი;
- 2 ნაბეჭდი ფოტოსურათი, ზომით 3X4, და ფოტოსურათის ელექტრონული ვერსია;
- სამხედრო აღრიცხვის დამადასტურებელი დოკუმენტის დედანი და ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირების შემთხვევაში);
- შევსებული სპეციალური განაცხადი-აპლიკაცია, რომელიც მაგისტრანტობის კანდიდატს შეუძლია მიიღოს თბილისის სასულიერო აკადემიასა და სემინარიაში ან/და ჩამოტვირთოს სასწავლებლის ოფიციალური ვებგვერდიდან;

- თბილისში მცხოვრები აბიტურიენტი წარადგენს მოძღვრის რეკომენდაციას, სხვა შემთხვევაში, აუცილებელია შესაბამისი ეპარქიის მღვდელმთავრის რეკომენდაცია;
- სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს სამაგისტრო საგანამანათლებლო პროგრამა.

4. თსას-ის მიერ განსაზღვრული გამოცდ(ებ)ის პროგრამა უნდა განთავსდეს სასწავლებლის ვებგვერდზე.

შიდა გამოცდის ჩატარების წესი, ასევე, საპრეტენზიო განცხადებების განხილვის ვადები განისაზღვრება რექტორის მიერ გამოცემული სამართლებრივი აქტით, რომელიც განთავსდება სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე.

შიდა გამოცდის შედეგები, თუ ის ზეპირი ფორმატით ტარდება, ქვეყნდება იმავე დღეს, ხოლო წერითი გამოცდის შედეგები - მომდევნო დღეს, თსას-ის ოფიციალურ ვებგვერდზე (http://www.tsas.ge/).

ზეპირი გამოცდის საპრეტენზიო განაცხადი მიიღება საგამოცდო შედეგების გამოქვეყნებისთანავე.

მაგისტრანტობის კანდიდატებს საპრეტენზიო განცხადებაზე შეუძლიათ იმუშაონ ადმინისტრაციის მიერ მათთვის სპეციალურად გამოყოფილ აუდიტორიაში, ლიტერატურის გამოყენების გარეშე, და წარუდგინონ ის საპრეტენზიო საბჭოს 18^{00} საათამდე. მითითებული ვადის ამოწურვის შემდეგ განაცხადი აღარ მიიღება.

წერითი გამოცდის საპრეტენზიო განცხადების განხილვის ვადა არ შეიძლება იყოს გამოცდის შედეგების სასწავლებლის ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 3 დღეზე ნაკლები.

მაგისტრანტობის კანდიდატთა საპრეტენზიო განცხადებებს განიხილავს საპრეტენზიო საბჭო, რომელიც იქმნება რექტორის აქტით. საპრეტენზიო საბჭო არ შეიძლება შედგებოდეს იმ პირებისაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ მაგისტრანტობის კანდიდატთა შეფასებაში;

5. თსას-ის მიერ განსაზღვრული სამაგისტრო გამოცდების წარმატებით ჩაბარებისა და რექტორის ადმინისტრაციული აქტით განსაზღვრულ ვადებში მოთხოვნილი დოკუმენტაციის წარმოდგენის საფუძველზე, მაგისტრანტობის კანდიდატთან

(ფაკულტეტზე) ფორმდება ხელშეკრულება. სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხულ სტუდენტს მაგისტრანტის სტატუსი მიენიჭება ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ;

6. **აკადემიური რეგისტრაცია** გულისხმობს მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო მოდულზე სტუდენტის დარეგისტრირებას ამ წესის შესაბამისად;

7. რეგისტრაციის შედეგების საფუძველზე, თსას-ში მაგისტრანტობის კანდიდატთა ჩარიცხვა ფორმდება თსას-ის რექტორის ერთიანი აქტით, რომელიც გამოიცემა მოქმედი რეგულაციით დადგენილ ვადებში.

8. რექტორის ბრძანების საფუძველზე, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მაგისტრანტთა მონაცემებს კანონით დადგენილ ვადებში ასახავს რეესტრის ერთიან ბაზაში.

მუხლი 4. სადოქტორო პროგრამაზე აბიტურიენტთა ჩარიცხვა და რეგისტრაცია

1. თსას-ის მიერ განსაზღვრული გამოცდის/გამოცდების ჩაბარების მიზნით, დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადის ხანგრძლივობა არ შეიძლება იყოს რეგისტრაციის შესახებ რექტორის აქტის სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებიდან 10 კალენდარულ დღეზე ნაკლები;

2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაციის ვადები განისაზღვრება რექტორის მიერ გამოცემული შიდა სამართლებრივი აქტით. ვადების შესახებ ინფორმაცია განთავსდება სასწავლებლის ოფიციალურ ვებგვერდზე;

3. დოქტორანტურაში ჩარიცხვა და სწავლა ხორციელდება სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მიერ დამტკიცებული დოქტორანტურისა და სადისერტაციო საბჭოს დებულებით.

მუხლი 5. სტუდენტთა პერსონალური მონაცემები

1. სტუდენტის პერსონალური მონაცემები წარმოადგენს კონფიდენციალური სახის ინფორმაციას და სტუდენტის თანხმობის გარეშე არ ხმაურდება, გარდა კანონმდებლობით განსაზღვრული შემთხვევებისა;

მუხლი 6. თსას-ის საგანმანათლებლო პროცესის ორგანიზაცია

1. საგანმანათლებლო პროცესი თსას-ში ხორციელდება ამავე სასწავლებელში სამეცნიერო საბჭოს მიერ დამტკიცებული პროგრამების საფუძველზე;

2. სასწავლო წელი იყოფა ორ სემესტრად. თითოეული სემესტრი სრულდება დასკვნითი გამოცდებით;

3. თსას-ში გამოიყენება სწავლების შემდეგი ძირითადი სახეები: ლექცია, სემინარი, პრაქტიკული მეცადინეობა, წერითი სამუშაო, კონსულტაცია, სტუდენტთა დამოუკიდებელი მეცადინეობა, საკურსო ნაშრომი, რეფერატი, სადიპლომო ნაშრომი და სხვა.

4. სტუდენტთა საქმიანობის შესაფასებისას თსას ეყრდნობა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების მოქმედ წესს;

5. უმაღლესი თეოლოგიური განათლების სამივე საფეხურზე სასწავლო პროგრამების ათვისება მთავრდება სათანადო რაოდენობის კრედიტების დაგროვების, საბაკალავრო, სამაგისტრო და სადისერტაციო ნაშრომის დაცვის გზით.

მუხლი 7. ერთი კვალიფიკაციის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების სხვა კვალიფიკაციის მიზნებისათვის აღიარება

1. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით, თსას უფლებამოსილია აღიაროს შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში პირის მიერ მიღწეული სწავლის შედეგები იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის დაძლევით, შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭების მიზნით;

2. კრედიტების აღიარების მიზნით თსას-ის შესაბამისი საფაკულტეტო კომისია დაადგენს პირის მიერ უმაღლესი განათლების იმავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების შესაბამის საგანმანათლებლო პროგრამასთან თავსებადობას. საბოლოო გადაწყვეტილებას, საფაკულტეტო კომისიის დასკვნის საფუძველზე, იღებს რექტორი;

8. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის (დიპლომის) გაცემა

1. სწავლების საბაკალავრო, სამაგისტრო ან სადოქტორო საფეხურებზე სწავლა დასრულებულად ითვლება და მინიჭებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (დიპლომი) გაიცემა იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტმა დაძლია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული ყველა სასწავლო კურსი და დააგროვა კვალიფიკაციის მისაღებად კრედიტების საჭირო რაოდენობა;

2. შესაბამისი ფაკულტეტის კვალიფიკაციის მიმნიჭებელი კომისიის გადაწყვეტილებისა და ფაკულტეტის დეკანის შუამდგომლობის საფუძველზე, დიპლომი, კანონმდებლობით დადგენილი ფორმის დანართთან ერთად, გაიცემა რექტორის მიერ. პირს, რომელმაც ვერ ან არ დაასრულა შესაბამისი საგანმანთლებლო საფეხური, მიეცემა სათანადო ცნობა.

მუხლი 9. წესის დამტკიცება და ცვლილებების შეტანა

1. თსას-ის საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელ წესს იღებს სამეცნიერო საბჭო და ამტკიცებს რექტორი;

2. ამ წესის მიღება, გაუქმება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება იმავე წესით.